საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №284
2018 წლის 18 აპრილი

ქ. თბილისი

იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც 2018 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 2^2 პუნქტისა და მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა, სადაც 2018 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის.
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ უზრუნველყონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება იმ დასახლებაში (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებაში), სადაც სანოტარო მომსახურება 2018 წელს სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, ამ ბრძანებით დამტკიცებული ნუსხით გათვალისწინებული ოდენობის ნოტარიუსთა დასანიშნად.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**